

რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები და საომარი მოქმედებების შესაძლო განვითარების სცენარები

მერაბ ანთაძე, გიორგი ყარალაშვილი*

შესავალი

2022 წლის 22 აგვისტოს ანალიტიკურ ბარათში - "რუსეთის რევიზიონისტური საგარეო პოლიტიკის ევოლუცია დასავლეთთან ურთიერთობების ფონზე: განმაპირობებელი ფაქტორები და სამომავლო საფრთხეები"¹ - ჩვენ გაგიზიარეთ მოსაზრებები, რუსეთის იმპერიული ამბიციების, მეზობელი სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიების ოკუპაციისა და უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების წინაპირობების შესახებ.

წარმოდგენილ ანალიტიკურ ბარათში მიმოვიხილავთ 2022 წლის 23 თებერვლიდან დღემდე უკრაინაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ომის ქრონოლოგიას და გაგაცნობთ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება აისახოს რუსეთისა და უკრაინის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე საომარი მოქმედებების სხვადასხვა სცენარით განვითარება,

ასევე შემოგთავაზებთ ჩვენს მოსაზრებებს ევროატლანტიკური თანამეგობრობის სავარაუდო პოზიციაზე და მათ მზადყოფნაზე, კვლავ იგივე ინტენსივობით გააგრძელონ უკრაინის სამხედრო, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ომის გრძელვადიან, არაპროგნოზირებად ფაზაში გადასვლის შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხებზე კონკრეტული მსჯელობის დაწყებამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლე წინამძღვარის გაკეთება, რომელშიც ზოგადად ვისაუბრებთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთის მიერ გატარებულ შეკავების პოლიტიკაზე და ასევე, მოკლედ მიმოვიხილავთ ცივი ომის დამთავრების შემდეგ, დასავლეთსა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეს - რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობის სწრაფ ტემპებზე, რომელიც პუტინის რეჟიმის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების შემდეგ, უმწვავეს დაპირისპირებაში გადაიზარდა და მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროების წინაპირობები გააჩინა.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

* *მერაბ ანთაძე* – ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი; *გიორგი ყარალაშვილი* – ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, დასავლეთმა პრინციპული, და ამავე დროს, დაბალანსებული „შეკავების პოლიტიკის“ წყალობით,² შეძლო მესამე მსოფლიო ომისა და ბირთვული დაპირისპირების თავიდან აცილება („კარიბის კრიზისის“³ სახით) და იდეოლოგიურად მწვავე კონფრონტაციაში მყოფ საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი თანაცხოვრების შენარჩუნება.

მე-20 საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ცივილიზებულ თანამეგობრობაში ინკორპორირების თითქოსდა წარმატებულმა პროცესმა გააჩინა მცდარი მოლოდინი იმისა, რომ მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელ ქვეყნებს შორის დაისადგურებს მშვიდობა, რაც ხელს შეუწყობდა მსოფლიოში დაწყებულ გლობალიზაციის პროცესს, რომელიც თავის მხრივ, მთელ მსოფლიოში მჭიდრო თანამშრომლობისა და სტაბილურობის განმტკიცების დამატებით გარანტიებს შექმნიდა.

სამწუხაროდ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ რუსეთის ჩამოყალიბება არ მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ თავი იჩინა რუსულ მენტალობაში ღრმად ჩაბუდებულმა იმპერიულმა ამბიციებმა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინება იყო ჯერ კიდევ ელცინის მმართველობის პერიოდში წამოწყებული ომი ჩეჩნეთში და რუსეთის მიერ მართული კონფლიქტები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

მეზობელ სუვერენულ ქვეყნებში პოლიტიკური და სამხედრო დომინირების ძალისმიერი მეთოდებით მოპოვების დაუფარავი მცდელობების მიუხედავად, დასავლეთი განაგრძობდა ელცინისა და შემდგომ პუტინის ხელისუფლებასთან ინტენსიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, რომელმაც პუტინის მმართველობის საწყის ეტაპზე ყველაზე მაღალ ნიშნულამდე ავიდა.

რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის გადაწყვეტილების ხელშემწყობი წინაპირობები

2000-ანი წლების დასაწყისში, ენერგომატარებლებზე ფასების რეკორდული მატების შედეგად, რუსეთის ეკონომიკა ზრდის არნახულ მაშტაბებს აღწევდა. ნავთობის და გაზის გაყიდვით მიღებული შემოსავლების ხარჯზე, შეიქმნა სტაბილიზაციის ფონდი, რომელიც შემდგომ ორ გამოუკიდებელ - სარეზერვო და ეროვნული კეთილდღეობის - ფონდებად ჩამოყალიბდა და რომლებშიც რუსეთის წლიური ბიუჯეტის მიღმა გროვდებოდა ასეულობით მილიარდი დოლარი (**2008 წელს სტაბილიზაციის ფონდიდან სარეზერვო ფონდში გადავიდა 125,2 მლრდ დოლარი, ხოლო ეროვნული კეთილდღეობის ფონდში - 32 მლრდ დოლარი**).⁴

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე (საბჭოთა პერიოდის ჩათვლით) არასოდეს ჰქონია ასეთი მყარი პოზიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთ ხელსაყრელ და კეთილგანწყობილ გარემოში აღმოჩენილი და ფაქტიურად, განვითარების პიკში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოდის დასავლეთის წამყვანი ქვეყნების უმწვავესი კრიტიკით და ბრალს სდებს მსოფლიო მოწყობის მათთვის მომგებიანი წესებისა და ერთპოლუსიანი მმართველობის ძალისმიერი გზით დამკვიდრების მცდელობაში.⁵

ამავე დროს ხაზგასასმელია, რომ პუტინის გამოსვლა და ჟურნალისტების კითხვებზე გაცემული პასუხები შეიცავდა დაუფარავ მუქარას, რომლის თანახმად რუსეთი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პრეტენზიების დეკლარირებით და სამომავლოდ იხელმძღვანელებდა კრემლში "უკვე შემუშავებული" კონკრეტული სამოქმედო გეგმით. პუტინის ესოდენ მწვავე შეფასებები და შეუნიღბავი მუქარა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა სათანადო ყურადღების გარეშე დატოვეს.

ვაშინგტონის, ბერლინის და პარიზის ზედმეტად თავშეკავებულმა რეაქციამ პუტინის მოურიდეტელ გამოსვლაზე, კრემლი დაარწმუნა დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების უუნარობაში და მის მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესაძლებლობაში.

ამ ე.წ. სამოქმედო გეგმის რეალური არსი მალევე გამოაშკარავდა ჯერ საქართველოში - 2008 წლის აგვისტოში და შემდეგ 2014 წელს - უკრაინაში, სადაც რუსეთმა, მორიგი სამხედრო აგრესიის შედეგად, მიიტაცა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიები, განათავსა სამხედრო ბაზები და დღემდე განაგრძობს სიტუაციის ესკალაციას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინაში გაჩაღებული ომების ფონზე, არ შენელებულა დასავლეთსა და კრემლს შორის თანამშრომლობა და მათ ფაქტიურად, არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ კრემლმა საბოლოოდ ჩათვალა, რომ დადგა დრო, როდესაც რუსეთმა უნდა აღიდგინოს მსოფლიოში საბჭოთა პერიოდის დროინდელი გავლენის სფეროები და ამ მიზნით დაიწყო შესაბამისი სამხედრო-პოლიტიკური ქმედებები.

2021 წელს, უკრაინა-რუსეთის და უკრაინა-ბელორუსის სახელმწიფო საზღვრებთან რუსეთის 180 000-ანი ჯარის კონცენტრაციის⁶ შემდეგ, 2021 წლის 17 დეკემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვაშინგტონსა და ნატოს წევრ ქვეყნებს გადასცა ე.წ. "შეთანხმების"⁷ პროექტი, რომელშიც რუსეთმა ფაქტიურად, კატეგორიული ფორმით მოითხოვა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება და გავლენის სფეროებად დაყოფა, "1945 წლის იალტის შეთანხმებების"⁸ მსგავსად.

უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 2022 წლის 15 თებერვალს, რუსეთის საზღვაო სამხედრო ფლოტმა დაიწყო სამხედრო სწავლება, რომელშიც ჩართული იყო რუსეთის წყნარი ოკეანის, ჩრდილო და შავი ზღვის ფლოტების 15 საბრძოლო ხომალდი, საჰაერო-კოსმოსური ძალების 30 საფრენი აპარატი და საესკორტო გემები. საბრძოლო სწავლება მიზნად ისახავდა "იმიტირებული მტრის გემების დაჯგუფების განადგურებას"⁹ (აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აკვატორიაში უკრაინელი სამხედროების მიერ საჰაერო იერიშების შედეგად განადგურებული და მწყობრიდან გამოყვანილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების ჩანაცვლება ხმელთაშუა ზღვაში მყოფი რუსული სამხედრო გემებით ვერ გამხორციელდა, ვინაიდან თურქეთმა ომის დაწყებისთანავე ჩაკეტა სამხედრო გემებისთვის შავ ზღვაში შესასვლელი სრუტეები).

დასავლეთის ყველა მცდელობა, მოლაპარაკებების გზით თავიდან აერიდებინა რუსეთის მოსალოდნელი სამხედრო აგრესია უკრაინაში, უშედეგო აღმოჩნდა კრემლის უკიდურესად ხისტი პოზიციის გამო. მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ნათელი იყო, რომ ევროპაში ფართომასშტაბიანი ომი - უზარმაზარი ჰუმანიტარული კატასტროფის გარდა - ძალზედ დამაზიანებელი იქნებოდა უშუალოდ დასავლეთისთვის, ვინაიდან იგი უბრალოდ იძულებული გახდებოდა, დაეწესებინა რუსეთისთვის დაპირებული რეალური ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის სანქციები, რომლებიც თავის მხრივ აღარ მისცემდა დასავლეთს საშუალებას, ესარგებლა მისთვის ესოდენ მომგებიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით, რომელიც მას რუსეთთან ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩამოუყალიბდა.

საბოლოოდ, კრემლის უკომპრომისო პოზიციამ და ზღვარს გადასულმა ულტიმატუმებმა დასავლეთი იძულებული გახადა, მიეღო პრაქტიკულად ერთიანი გადაწყვეტილება და დაეკავებინა უფრო პრინციპული და მკაფიო პოზიცია, ვინაიდან ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიერ წამოყენებული მოთხოვნების თუნდაც ნაწილობრივად გათვალისწინების შემთხვევაში, კითხვის ქვეშ დადგებოდა ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზებით ისედაც შერყეული ერთიანობა ნატოს წევრ ქვეყნებში, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი უსაფრთხოების ერთადერთი ქმედითუნარიანი სისტემის რღვევის რეალურ წინაპირობებს შექმნიდა და, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა მთელი ცივილიზებული თანამეგობრობის მდგრადობას და უსაფრთხოებას.

დასავლეთის უპრეცედენტო ერთიანობა, აგრეთვე უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში ადეკვატური ზომების მიღებისთვის მზადყოფნა, არ იქნა გათვალისწინებული კრემლის მიერ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან მოყოლებული, რუსეთის ყველა სამხედრო ავანტიურაზე დასავლეთის არაადეკვატურად თავშეკავებულმა და შემგუებლურმა რეაგირებამ დაარწმუნა კრემლი იმაში, რომ ე.წ. კოლექტიურ დასავლეთს სინამდვილეში არ გააჩნია უნარი, მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები და იმოქმედოს ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად.

კრემლის ამ საბედისწერო შეფასებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პუტინისა და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც თავისი სიმწვავეთ, სისასტიკით და ინტენსივობით მეორე მსოფლიო ომის დროინდელ საბრძოლო მოქმედებებს შეიძლება შევადაროთ.

გაეროს 2023 წლის 15 თებერვლის არასრული მონაცემებით, რუსეთის აგრესიის შედეგად უკრაინაში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვმა 8000-ს გადააჭარბა, მათ შორის 487 ბავშვია¹⁰ (საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები უკრაინელი სამხედროების დანაკარგების შესახებ არ გამოქვეყნებულა). სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგოსისტემების, საკომუნიკაციო კვანძების, სამრეწველო და სხვა სამოქალაქო დანიშნულების ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული დაბომბვების შედეგად, უდიდესი ზიანი მიადგა უკრაინის ეკონომიკას და უმძიმეს საყოფაცხოვრებო პირობებში ჩავარდა უკრაინის მოსახლეობა. ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან უკრაინიდან მეზობელ ქვეყნებს

თავი შეაფარა -17.1 მლნ. ადამიანმა (გაეროს მონაცემებით, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, ევროპაში უკრაინელი ლტოლვილების რაოდენობამ 8 მლნ.-ს მიაღწია).¹¹

2022 წლის 24 თებერვალს პუტინის მიერ გაცხადებული ე.წ. "სპეციალური სამხედრო ოპერაციის" გეგმის თანახმად, უკრაინის "დენაციფიკაციის" და "დემილიტარიზაციის" მიზნით, რუსეთის სამხედრო ფორმირებებს "მარშით" უნდა აეღოთ კიევი, უკრაინის დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ცენტრალური რეგიონების საკვანძო ქალაქები და სრულად დაეკავებინათ ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებული ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ადმინისტრაციული საზღვრები.¹²

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ჯარის მიერ კიევის რამდენიმე დღეში აღებას და უკრაინის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავებას ასევე პროგნოზირებდნენ ავტორიტეტული და დიდი გამოცდილების მქონე უცხოელი სამხედრო ექსპერტები, მაღალჩინოსანი სამხედროები, მათ შორის აშშ-ს, ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებიც.

მოსკოვის გათვლით, მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარებას უპირობოდ მოჰყვებოდა უკრაინის კაპიტულაცია ან ხელმძღვანელობის ქვეყნიდან გაქცევა, რასაც პრეზიდენტ ზელენსკის და მის გარემოცვას დასავლეთის ლიდერებიც საჯაროდ სთავაზობდნენ. შედეგად, უკრაინის ხელისუფლებაში მოყვანილი პრორუსული მარიონეტული მთავრობა - „რუსეთსა და უკრაინას შორის დაუყოვნებლივ გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე“ - ხელს მოაწერდა კრემლში მომზადებულ საზავო ხელშეკრულებას, რომელიც უკრაინის სახელმწიფოს რუსეთის სრული გავლენის ქვეშ მოაქცევდა.

სამწუხაროდ, 2008 და 2014 წლების მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ პუტინის გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში, რუსეთის მორიგი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია კრემლის სრული ტრიუმფით დასრულდებოდა და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან კრემლის წინააღმდეგ სავარაუდოდ შემოღებული მკაცრი ზომები მსოფლიოში შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენდნენ.

უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის და საომარი მოქმედებების ქრონოლოგია

უკრაინის საზღვრის გასწვრივ სრული საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი 180-ათასიანი ჯარის კონცენტრაციის ფონზე, მოსკოვი საჯაროდ უარყოფდა უკრაინის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესაძლებლობას და უტიფრად აცხადებდა, რომ ეს აბსურდული აზრები თეთრი სახლის ადმინისტრაციის მიერ მოგონილი პროვოკაციული ნარატივია, რომლის მიზანია რუსეთის იმიჯის შელახვა და რეგიონში დამაბულობის კერის ხელოვნურად შექმნა. როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლი ჩვეულებისამებრ თვალთმაქცობდა და უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიისთვის ხელსაყრელ დროს ელოდებოდა.

2022 წლის 24 თებერვალს, დილის 5 საათზე, პუტინმა რუსეთის მოსახლეობისადმი გაკეთებულ ტელემიმართვაში განაცხადა უკრაინაში ე.წ. "სპეციალური სამხედრო ოპერაციის" დაწყების შესახებ, რომლის მთავარ ამოცანად დასახელდა დონბასის მოსახლეობის დაცვა და ამ მიზნით უკრაინის სრული დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია.¹³ ტელემიმართვის პარალელურად, რუსეთის სხვადასხვა სახეობის სამხედრო ქვედანაყოფები, შეიჭრნენ უკრაინაში და დაიწყეს მასირებული შეტევა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების გამოყენებით.

ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ განხორციელდა რუსეთის, ბელორუსისა და ანექსირებული ყირიმის ტერიტორიებიდან. ასევე საბრძოლო მოქმედებები განახლდა რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ტერიტორიებიდან.

ომის დაწყების პირველივე დღეს დაიბოძა კიევის გარეუბნები. მასირებული ავიაშეტევის შემდეგ, რუსეთმა დესანტი გადასხა კიევიდან 25 კმ-ში მდებარე ქალაქ ჰოსტომელის აეროპორტში. ბელორუსიდან უკრაინის დედაქალაქისკენ დაიძრა მძიმე ჯავშანტექნიკის კოლონები. რუსი სამხედროების ცალკეულმა ფორმირებებმა შეაღწიეს კიევის განაპირა რაიონებში, ხოლო კიევის ცენტრში აღინიშნა ორმხრივი სროლები უკრაინელ სამხედროებსა და რუსეთის სპეცდანიშნულების სადაზვერვო-დივერსიულ ქვედანაყოფებს შორის.

პარალელურად, აღმოსავლეთიდან შემოსულმა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს კიევის მიმდებარე ჩერნიჰივის და სუმის ოლქების დიდი ნაწილი და სწრაფად მიიწვედნენ კიევის მიმართულებით. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა კიევის მახლობლად მდებარე დასახლებებში - ჰოსტომელში, ბუჩასა და ირპენში. 11 მარტისთვის რუსული არმია იმყოფებოდა კიევის ცენტრიდან 15 კილომეტრში.

ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, უკრაინელი სამხედროების, სამართალდამცველებისა და მსუბუქი სასროლი იარაღით აღჭურვილი სამოქალაქო პირებისგან შექმნილი "ტერიტორიული თავდაცვის ძალების" თავგანწირული წინააღმდეგობის შედეგად, რუსეთის სამხედრო შენაერთების წინსვლა კიევის მიმართულებით შეჩერებული იქნა.

კიევის დაცვისა და რუსეთის მთავარი შემტევი სამხედრო ფორმირებების შეკავების ოპერაციაში განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი ითამაშა უკრაინელი სამხედროების მიერ ომის პირველივე დღეებში წარმატებით განხორციელებულმა კონტრშეტევებმა, რომლებმაც ცხადყო, რომ 2014 წლის ყირიმის ანექსიისა და დონბასში მიღებული საბრძოლო გამოცდილების გათვალისწინებით, უკრაინის შეიარაღებული ძალები რუსეთის მორიგ აგრესიას ბევრად უფრო კარგად გაწრთვნილი და მომზადებული დახვდა.

ერთ-ერთი პირველი ასეთი გამარჯვება უკრაინელმა სამხედროებმა მოიპოვეს ჰოსტომელის აეროპორტში, სადაც რუსეთის რჩეული სადესანტო ქვედანაყოფების განადგურების შედეგად, ჩაიშალა საჰაერო ხიდის მემშვეობით მრავალრიცხოვანი რუსული სადესანტო ქვედანაყოფებისა და შეიარაღების ოპერატიულად ჩამოყვანა კიევზე გადამწყვეტი შეტევის განსახორციელებლად.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან კიევისკენ მოძრავი რუსული ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკისგან შემდგარი დიდი რაოდენობით სამხედრო კოლონების განადგურება.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ ამ ორი ძალზედ მნიშვნელოვანი სამხედრო, და ამასთანავე, მორალური გამარჯვების შემდეგ, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, გაეცა უკანდახვევის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პირველადი სამხედრო ამოცანების შესრულებიდან გამომდინარე, „რუსეთის საჯარისო ფორმირებების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება კიევისა და ჩერნიგოვის მიმართულებით სამხედრო აქტივობის მნიშვნელოვნად შემცირებისა და ძალების გეგმიური გადაჯგუფების შესახებ.“¹⁴

ომის დაწყებიდან თვენახევარში - 2022 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, უკრაინამ სრულად აღადგინა კონტროლი კიევის, ჩერნიჰივისა და სუმის ოლქებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინელი სამხედროების შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მოპოვებულმა სამხედრო და მორალურმა გამარჯვებებმა, რაც ომის საწყის ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო უკრაინელი ხალხის თვითრწმენის ასამაღლებლად და მეზობელი სულისკვეთების შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვნად განაპირობა საომარი მოქმედებების შემდგომი განვითარება.

სამწუხაროდ, სულ სხვა სცენარით განვითარდა საომარი მოქმედებები უკრაინის სამხრეთში, სადაც რუსეთის არმიამ შეტევა ანექსირებული ყირიმისა და დონბასის ტერიტორიებიდან განახორციელა. უკრაინელების გმირული და უშეღავათო წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსულმა ჯარმა დაიკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები - კახოვკის წყალსაცავი, ზაპორიჟიეს ატომური ელექტროსადგური. ქალაქები - ხერსონი, მელიტოპოლი და აზოვის ზღვის უმსხვილესი საპორტო და უკრაინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ქალაქი მარიუპოლი, რომელსაც სრული ალყის პირობებში, ყოველგვარი დახმარების გარეშე, 85 დღის განმავლობაში, უკრაინის შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვან შენაერთებთან ერთად, გმირულად იცავდა სამხედრო ქვედანაყოფი - "აზოვის მეზობლები" (კიევიდან მიღებული დანებების ბრძანების შედეგად, რუსების ტყვეობაში აღმოჩენილი 2500 ჯარისკაციდან, 900 აზოვის ბატალიონის მეზობელი იყო).

საბოლოოდ, უკრაინის სამხრეთში შეჭრის შედეგად, რუსეთის სამხედროების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა მდინარე დნეპრის, შავი და აზოვის ზღვებს შორის მოქცეული საკმაოდ ვრცელი ტერიტორია აზოვის ზღვის სანაპიროს ჩათვლით, რომლითაც რუსეთი ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულს სახმელეთო დერეფნით დაუკავშირდა და დღემდე ინარჩუნებს მას, რაც სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, კრემლის ყველაზე დიდ სამხედრო წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ომის დაწყების პირველივე დღიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქი ხარკოვი, რომელიც რუსეთის საზღვრიდან 30 კმ-ში მდებარეობს და სტრატეგიული თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უკავია. 24 თებერვალს რუსეთის სატანკო ნაწილებმა, ავიაციისა და დამატებით ძალების დახმარებით, შეძლეს ქალაქში შესვლა, თუმცა უკრაინის სამხედრო ქვედანაყოფებმა იმავე დღეს მოახერხეს მათი ძირითადი ნაწილების ქალაქიდან განდევნა და

დახმარების გარეშე დარჩენილი ცალკეული რუსული ქვედანაყოფების განადგურება. კიევიდან და მიმდებარე ოლქებიდან რუსეთის ჯარის განდევნის შემდეგ, უკრაინის შეიარაღებული ძალების შთამბეჭდავმა გამარჯვებამ ხარკოვისთვის ბრძოლაში კიდევ უფრო აამაღლა უკრაინელი სამხედროებისა და მთლიანად უკრაინელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთება და განუმტკიცა მათ რწმენა საკუთარ ძალებში.

უთანასწორო პირობებში მინდინარეობდა ბრძოლა შავი და აზოვის ზღვის აკვატორიებში. რუსეთის სამხედრო ფლოტის აშკარა უპირატესობის პირობებში, სევასტოპოლში განლაგებულმა რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა ომის დაწყების პირველივე დღეებში გაანადგურა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ბაზა ქალაქ ოჩაკოვოში, დააზიანა ნავმისადგომის ინფრასტრუქტურა და ჩაძირა უკრაინული სამხედრო გემების უმეტესი ნაწილი.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებიდან გახსნილი ინტენსიური ცეცხლის ფონზე, რუსმა საზღვაო ქვეითებმა დაიკავეს ოდესიდან სამხრეთით, 130 კმ-ში მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძული "ზმინი", რომელსაც რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა განიხილავდა ერთ-ერთ საკვანძო სამხედრო პლაცდარმად ოდესისა და ნიკოლაევის ოლქებზე შეტევის განსახორციელებლად და სხვა სახმელეთო ოპერაციების მხარდასაჭერად.

ოდესისა და ნიკოლაევის მიმართულებით საზღვაო ოპერაციის წარმატების შემთხვევაში, რუსეთი დამატებით ხელში ჩაიგდებდა და მთლიანად გააკონტროლებდა უკრაინის შავი ზღვის მთელ სანაპირო ზოლს, რაც მის სრულ დაქვემდებარებაში მყოფ ე.წ. "დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის" ტერიტორიის შეუფერხებლად დაკავების საშუალებას მისცემდა, სადაც ასევე განთავსებულია რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები და დიდი რაოდენობის სამხედრო ჯურების საწყობები.

2022 წლის ივნისში უკრაინის შეიარაღება შეივსო აშშ-ს მაღალი სიზუსტის სარაკეტო სისტემის, "HIMARS" ჯურვებით, რამაც უშუალო გავლენა იქონია საომარი მოქმედებების მსვლელობაზე, მათ შორის შავი ზღვის აკვატორიაში სამხედრო ოპერაციების შემდგომ განვითარებაზე. უკვე ივნისის ბოლოს, უკრაინამ დაიბრუნა კონტროლი კუნძულ "ზმინი"-ზე. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს რუსულ სამხედრო ხომალდებს, რომლებიც "ფრთოსანი" რაკეტებით ბომბავდნენ უკრაინის ქალაქებს.

უკრაინის სანაპირო დაცვის საჰაერო ძალების მიერ აზოვის და შავი ზღვების პორტებზე მიტანილი იერიშების შედეგად, მწყობრიდან იქნა გამოყვანილი რუსეთის სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. განადგურებული იქნა 16 ერთეული რუსული სამხედრო კატერი და ხომალდი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი სადესანტო ხომალდი "სარატოვი" და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, სარაკეტო კრეისერი "მოსკოვი", რომელიც უკრაინული წარმოების ჯურვებისგან მიყენებული დაზიანებების შედეგად ყირიმის სანაპირო ზოლის მახლობლად ჩაიძირა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, სარაკეტო კრეისერი "მოსკოვი" ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა ფოთში განლაგებული საქართველოს სანაპირო დაცვის გემებისა და ინფრასტრუქტურის განადგურებაში ჩართულ

რუსულ სამხედრო გემებს და აფერხებდა საქართველოს პორტებში მიმავალი სხვა ქვეყნების გემების მოძრაობას.

2022 წლის შემოდგომაზე, დონბასის ფრონტზე და ხარკოვის ოლქში სამხედრო ინიციატივა უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარეს გადავიდა. სექტემბრის დასაწყისში, წარმატებული შეტევების შედეგად, უკრაინელი სამხედროები სწრაფად მიიწვედნენ წინ, რამდენიმე დღეში დაიბრუნეს ოკუპაციის ქვეშ დარჩენილი ხარკოვის ოლქის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქები და გავიდნენ სახელმწიფო საზღვარზე რუსეთთან. უკრაინის არტილერია და საჰაერო ძალები, დასავლელი პარტნიორებისგან მიღებული შეიარაღების დახმარებით, მიზანმიმართულად ანადგურებდა რუსულ სამხედრო არსენალებს და მძიმე ტექნიკის კოლონებს, რის გამოც რუსული ჯარი, ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე, ერთმანეთის მიყოლებით განიცდიდა მარცხს და უკან იხევდა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ 29 აგვისტოს დაწყებული, კარგად გათვლილი და მაღალ დონეზე დაგეგმილი კონტრშეტევის შედეგად ხერსონისა და მიმდებარე ტერიტორიების უკრაინის დაქვემდებარებაში დაბრუნება გახდა არა მარტო წარმატებული სამხედრო ოპერაციის თვალსაჩინო ნიმუში, არამედ რუსეთ-უკრაინის ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გარდამტეხი ეპიზოდი, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საომარი მოქმედებების შემდგომ განვითარებაზე.

უკრაინელი სამხედროების კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი ქალაქის, ლიმანის დაბრუნება, რის შედეგადაც რუსეთის ჯარს შეტევების განვითარებისა და დამატებით ახალი ტერიტორიების დაკავების შანსები მინიმუმამდე შეუმცირდა, ხოლო უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს ძალზედ ხელსაყრელი პოზიციები ლუგანსკის ოლქის სიღრმეში შეტევების განსახორციელებლად.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დასავლეთის მიერ გადაცემული შეიარაღების განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი გავლენა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობაზე. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია აშშ-ს ინიციატივით შექმნილ უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფს, რომელიც ე.წ. "რამშტაინის ფორმატის" სახელით მოიხსენიება. სამუშაო ჯგუფის ყოველთვიურ შეხვედრებში (პირველი შეხვედრა თავდაცვის მინისტრების დონეზე, 2022 წლის 26 აპრილს გაიმართა გერმანიის ქალაქ რამშტაინთან მდებარე აშშ-ს ავიაბაზაზე) მონაწილეობს 50-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის ნატოს ყველა წევრი და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობა, ასევე მოკავშირეები აზიიდან და აფრიკიდან.

რამშტაინის შეხვედრების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფში შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, უკრაინას საჭიროებისამებრ გადაეცემა სხვადასხვა სახის შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა, მათ შორის ნატოს შეიარაღებაში არსებული თანამედროვე ტანკები, ჯავშანმანქანები, საარტელერიო დანადგარები, ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები, ჭურვები და სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ამუნიცია. ასევე აღსანიშნავია სოლიდური ფინანსური ტრანშები, რომლებიც რამშტაინის ფორმატის ფარგლებში, მიზნობრივად გადაეცემა უკრაინას შეიარაღებისა და სხვადასხვა სპეციალიზირებული სამხედრო ტექნიკის შესაძენად.

დასავლეთის თანამედროვე სამხედრო იარაღით გაძლიერებული უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატებულმა ქმედებებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე ცხადყო, რომ რუსეთის სამხედრო მანქანას, რომლის სამხედრო რესურსი უკრაინასთან შედარებით ბევრად მეტია, სერიოზული პრობლემები გაუჩნდა, მას არ ძალუძს მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელება და ძირითადად, ომის საწყის ეტაპზე ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნებაზე უწევს ზრუნვა.

რეზონანსული და სიმბოლური იყო 8 ოქტომბერს მომხდარი მძლავრი აფეთქება რუსეთთან დამაკავშირებელ ყირიმის ხიდზე, რომელიც საგრძნობლად დაზიანდა და გარკვეული დროით შეიზღუდა მისი ჩვეულ რეჟიმში ექსპლუატაცია. ყირიმის ხიდის აფეთქება და მისი მწყობრიდან გამოყვანა, გარდა ძალოვანი სტრუქტურების აშკარა ჩავარდნისა და ეკონომიკური ზიანისა, იყო უზარმაზარი მორალური დარტყმა კრემლისთვის და პირადად პუტინისთვის.

2022 წლის მიწურულს ცხადი ხდება, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების შანსები, ფრონტის ხაზზე მიაღწიოს ხელშესახებ წარმატებას, სულ უფრო ილუზორული ხდება. უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატებული კონტრშეტევების გამო, რუსი სამხედროებისათვის სულ უფრო და უფრო რთული ხდება ომის საწყის ეტაპზე დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება და ახლად ოკუპირებულ რეგიონებში სიტუაციის სტაბილიზაცია.

ომის გამო, რომ რუსული არმია ვეღარ აღწევს ხელშესახებ უპირატესობას სახმელეთო და საზღვაო ოპერაციების მეშვეობით, კრემლი იწყებს უკრაინის ინფრასტრუქტურის მამტაბურ განადგურებას.¹⁵ 10 ოქტომბერს პუტინი აცხადებს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ენერგეტიკული სისტემების, სათაო სამხედრო მმართველობის პუნქტების, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების ობიექტებზე ფრთოსანი ჭურვებით და უპილოტო საფრენი აპარატებით მასიური დარტყმების განხორციელების შესახებ.

ინტენსიური სარაკეტო შეტევები უკრაინაზე ხორციელდებოდა ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, თუმცა საშემოდგომო დაბომბვები გახდა ბევრად უფრო მამტაბური და მიზანმიმართული. რუსეთის საჰაერო იერიშების მთავარი სამიზნე გახდა მსხვილი ენერგეტიკული ობიექტები. ამის გამო უკრაინის ელექტროსისტემების მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი, რის შედეგადაც 10 მლნ. ადამიანი დარჩა ელექტროობის გარეშე.¹⁶ საერთაშორისო თანადგომისა და უკრაინელი ენერგეტიკოსების თავგამოდებული მეცადინეობის ხარჯზე, მოხერხდა შექმნილი ენერგოკრიზისის მინიმირება და მეტნაკლებად გამოსწორება.

2022 წლის ბოლოსკენ რუსეთის არმია შეივსო ახლად მობილიზებული ჯარიკაცებით, ხოლო ე.წ. "ვაგნერის" დაქირავებულთა ქვედანაყოფები - რუსეთის ციხიდან რეკრუტირებული პატიმრებით. ასიათასობით ახალი ჯარისკაცის დამატების შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა განაახლეს ინტენსიური შეტევები დონბასის ფრონტზე და უზარმაზარი დანაკარგების ხარჯზე ახერხებდნენ მცირეოდენ წინსვლას. 2023 წლის დასაწყისში რუსულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს უკრაინელი სამხედროების მიერ კარგად გამაგრებული დასახლებული პუნქტი სოლედარი და კვლავ აქტიურად შეუტის დონეცკის

ოლქის ქალაქ ბახმუტს, რომლის აღებას რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები ჯერ კიდევ 2022 წლის ივლისის თვიდან ცდილობენ.

პარალელურად, მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა დონეცკის ოლქის კიდევ ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საოლქო დანიშნულების ქალაქის, უგლედარის მიმართულებით, რომლის აღებას რუსეთის არმია ორჯერ შეეცადა - 2022 წლის ნოემბერში და 2023 წლის თებერვალში. ორივე შემთხვევაში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. დანაკარგები, როგორც ცოცხალი ძალის, ისე - სამხედრო ტექნიკის სახით, იმდენად დიდი იყო, რომ რუსეთის ოფიციალურმა მედია-საშუალებებმაც კი, უგლედარისთვის ბრძოლები შეაფასეს, როგორც რუსული არმიის ყველაზე დიდი მარცხის ეპიზოდი უკრაინაში მიმდინარე ომის განმავლობაში.

2023 წლის იანვრიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია რუსეთის შეიარაღებული ძალების ახალი ფართომასშტაბიანი შეტევის შესახებ, თუმცა ბახმუტისა და დონბასის რამდენიმე, სტრატეგიული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის გარშემო ლოკალური ბრძოლების გარდა, სამხედრო აქტივობა ფრონტის სხვა მონაკვეთებზე არ დაფიქსირებულა.

ერთადერთი, შეიძლება ითქვას სიმბოლური გამარჯვება, რომელიც რუსმა სამხედროებმა 9-თვიანი გააფთრებული ბრძოლებისა და 100.000-მდე მეგრძოლის დაკარგვის ხარჯზე მოიპოვეს, იყო გაუკაცრიელებული და მიწასთან გასწორებული საოლქო მნიშვნელობის რაიონული ცენტრის, ბახმუტის აღება, რასაც კრემლი და რუსული პროპაგანდისტული მედია ზარ-ზეიმით შეხვდა და ბერლინის აღების ტოლფასად შეაფასა.

2023 წლის მარტიდან პოლიტიკოსების, მედიისა და სამხედრო ექსპერტების ყურადღება მიპყრობილია უკრაინის შეიარაღებული ძალების მამტაბური კონტრშეტევის დაწყებაზე, რომლის საბოლოო მიზანი, უკრაინის მაღალი თანამდებობის პირების განცხადებით, უნდა გახდეს ქვეყნის სრული დეოკუპაცია დონბასისა და ყირიმის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ომი უკრაინაში სამი სავარაუდო სცენარით შეიძლება განვითარდეს, კერძოდ:

1. პირველი სცენარის მიხედვით - უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევა დინამიურად ვითარდება და მათი წინსვლა შეუქცევად ხასიათს იღებს.

დასავლელი პარტნიორების მიერ გაწოდებული და თანამედროვე იარაღით აღჭურვილი უკრაინელი სამხედროები ახორციელებენ წარმატებულ კონტრშეტევას, მიზანმიმართულად ანადგურებენ და მწყობრიდან გამოჰყავთ რუსული არმიის მომარაგების წყაროები და სტრატეგიული საკომუნიკაციო საშუალებები ყირიმის ხიდის ჩათვლით. მძიმე ბრძოლებისა და დანაკარგების ხარჯზე, უკრაინის შეიარაღებული ძალები არღვევენ რუსების ემოლონირებული თავდაცვის ხაზებს, იბრუნებენ ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს დონბასში, დამაჯერებლად მიიწევენ წინ აზოვის ზღვისა და ყირიმის მიმართულებით და რეალურ წინაპირობებს ქმნიან ყირიმისა და მასთან დამაკავშირებელი სახმელეთო მონაკვეთის მიმართულებით გადამწყვეტი შეტევის განსახორციელებლად.

ცხადი ხდება, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები აღწევენ აბსოლუტურ უპირატესობას და მათი წინსვლა შეუქცევად ხასიათს იღებს. მოსკოვი იძულებული ხდება, დათანხმდეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას უკრაინის პირობებით, რომლებიც რუსეთის ქვედანაყოფების ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაყვანას გულისხმობს და სადაც შესაძლოა, დროში გაწერილი იყოს ყირიმიდან და დონბასის ცალკეული ოლქებიდან რუსული არმიის ნაწილების ეტაპობრივი გაყვანა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობისა და შესაბამისი სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობით.

მოვლენების ამ კუთხით განვითარების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთში დაიწყოს სერიოზული შიდა დაპირისპირება და პუტინის რეჟიმის მდგრადობას რეალური საფრთხე შეექმნას, თუმცა მოხდება თუ არა პუტინის რეჟიმის შეცვლა და რა სახის ან ორიენტაციის ძალა დაიმკვიდრებს ადგილს კრემლში, ამაზე პროგნოზის გაკეთება ამ ეტაპზე ძალზედ რთულია.

2. მეორე სცენარის მიხედვით - კონტრშეტევა ნელა ვითარდება, ხელშესახები და მნიშვნელოვანი გარღვევის მიღწევა დროში იწელება.

კონტრშეტევის საწყის ეტაპზე, უკრაინის შეიარაღებული ძალები ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე ახერხებენ მნიშვნელოვან წინსვლას, იბრუნებენ 2014-15 წლებში ოკუპირებული დონბასისა და 2022 წლის 23 თებერვლის შემდეგ დაკარგული ტერიტორიების გარკვეულ ნაწილს და იკავებენ სტრატეგიულად ხელსაყრელ პოზიციებს შემდგომი წინსვლისთვის.

კონტრშეტევის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების შედეგად, უკრაინის შეიარაღებული ძალები მეთოდურად აგრძელებენ შეტევებს და შედარებით ნელა, მაგრამ დამაჯერებლად მიიწევენ წინ ყირიმთან დამაკავშირებელი სახმელეთო მონაკვეთის ფრონტის ხაზის გასწვრივ. კონტრშეტევის დაწყებიდან 2-3 თვის თავზე, უკრაინის შეიარაღებული ძალები აგრძელებენ რუსული ჯარის შევიწროებას ყველა მიმართულებით, მაგრამ მცირე ლოკალური წარმატებების გარდა, ხელშესახები და მნიშვნელოვანი გარღვევის მიღწევა დროში იწელება.

მიუხედავად ამისა, ცხადი ხდება, რომ უკრაინა ფლობს სტრატეგიულ ინიციატივას და დასავლეთის მიერ შეპირებული შეიარაღების, მათ შორის, პირველ რიგში, ავიაგამანადგურებლების, F-16-ს მიწოდების კვალდაკვალ, უკრაინის შეიარაღებული ძალები მიმდინარე წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში, გადავლენ კონტრშეტევის დამაგვირგინებელ ეტაპზე, რომლის პარალელურად, დღის წესრიგში შესაძლებელია დადგეს დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყების მიზანშეწონილობა, კიევისთვის მისაღები პირობებით.

3. მესამე სცენარის მიხედვით - რუსეთის ჯარი ინარჩუნებს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ოკუპირებულ ტერიტორიებს და მდგომარეობა უკრაინისთვის არასასურველი მიმართულებით ვითარდება

უკრაინის კონტრშეტევა ვერ აღწევს სასურველ შედეგებს. რუსეთის არმია, დამატებითი ცოცხალი ძალისა და შეიარაღების მობილიზაციის ხარჯზე, აკავებს უკრაინელთა იერიშებს და

ინარჩუნებს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ოკუპირებულ ტერიტორიებს, ყირიმთან დამაკავშირებელი სახმელეთო დერეფნის ჩათვლით.

ახალ გამყოფ ხაზებზე, 2014 წლის შემდეგ დონბასში განვითარებული მოვლენების მსგავსად, მხარეები ერთმანეთის მონაცვლეობით აღწევენ ლოკალურ ან საშუალო სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო წარმატებებს, რომლებიც ომის მიმდინარეობის საერთო სურათზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

ამ არასასურველი სცენარით მოვლენების განვითარების შემთხვევაში, ომი უკრაინაში გადავა გრძელვადიანი პოზიციური დაპირისპირების რეჟიმში და მისი ცივილიზებული სამყაროსთვის მისაღები შედეგით დასრულება გაურკვეველი ვადით გადაიწეოს ან საერთოდ ძალზედ ბუნდოვანი გახდება, რაც, თავის მხრივ, უკრაინისთვის სერიოზული საფრთხეებისა და მისთვის არასასურველი ტენდენციების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს.

კონტრშეტევის ჩაშლის შემთხვევაში, კითხვის ქვეშ შეიძლება დადგეს უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დასავლელი პარტნიორების სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის დროულად და საჭირო რაოდენობით მიწოდების საკითხი. სავარაუდოდ, შესუსტდება მთელი ცივილიზებული სამყაროს ერთსულოვანი პოლიტიკური და ჰუმანიტარული თანადგომა, შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომის თემა მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების ეპიცენტრიდან მეორე პლანზე გადაიწეოს, რაც ძალზედ ნეგატიურად იმოქმედებს უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო პოტენციალზე და უარყოფით გავლენას იქონიებს უკრაინელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებაზე.

მსოფლიოში უკრაინელებისადმი თანადგომისა და მხარდაჭერის მუხტის შესაძლო შესუსტება საკმაოდ სწრაფად აისახება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ლიდერებისა და პოლიტიკური ელიტის პოზიციაზე. ნელ-ნელა შემცირდება სამხედრო, ფინანსური და ჰუმანიტარული მხარდაჭერა. გაიზრდება ზეწოლა უკრაინის ხელისუფლებაზე მათთვის მიუღებელი პირობების გაზიარების თვალსაზრისით. ახალი ძალით წარმოჩნდება ინიციატივები რუსეთთან მოლაპარაკებების გადაუდებლად დაწყების თაობაზე, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც სამხედრო, ისე - პოლიტიკური თვალსაზრისით, წამგებიანი იქნება უკრაინისთვის.

რთულ ვითარებაში აღმოჩნდება პრეზიდენტი ზელენსკი და მისი პოლიტიკური გუნდი, თუ მათ, დასავლეთის ზეწოლის პირობებში და საერთაშორისო თანამეგობრობის უშუალო მონაწილეობით, მოუწიათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ თუნდაც დროებითი/შუალედური შეთანხმების ხელმოწერა, ვინაიდან მათ ცალსახად აქვთ გაცხადებული ომის დასრულების თუ ცეცხლის შეწყვეტის უკრაინისთვის მისაღები პირობები, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარის სრულ გაყვანას ითვალისწინებს.

მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების შემთხვევაში, დაპირისპირება ე.წ. გაყინული კონფლიქტების რიგში გადაინაცვლებს. პუტინი და კრემლის პროპაგანდისტები რუსეთის მოსახლეობას ამცნობენ დასახული მიზნების შესრულებისა და ე.წ. სპეცოპერაციის წარმატებით დასრულების შესახებ. რუსეთს გაუჩნდება სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში საფუძვლიანად შერყეული მდგომარეობის გამოსწორებისა და

საერთაშორისო ურთიერთობებში მიყენებული ზიანის თუნდაც ნაწილობრივ აღდგენის პერსპექტივა.

უკრაინისთვის წამგებიან შეთანხმებაზე ხელმოწერამ, ერთი მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული შიდა პოლიტიკური უთანხმოება უკრაინის პოლიტიკურ წრეებში და მეორე მხრივ, გააჩინოს უკიდურესი ნიჰილიზმის შეგრძნება სავალალო ეკონომიკურ, სოციალურ და თითქმის მთლიანად განადგურებული ინფრასტრუქტურის პირობებში მყოფ ქვეყნის მოსახლეობაში, რომელსაც უმძიმესი ფსიქოლოგიური სტრესიდან თავის დასაღწევად, მტერზე უპირობო გამარჯვების განცდა სჭირდება.

კრემლთან დროებითი ზავის გაფორმება არ იქნება გრძელვადიანი მშვიდობის მომტანი, ვერ შექმნის უსაფრთხოების მყარ გარანტიას და მხოლოდ გადაავადებს რუსეთის მორიგ აგრესიას უკრაინის ან სხვა მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ თუნდაც დროებითი შეთანხმების ხელმოწერას, სავარაუდოდ, არ მიიღებს უკრაინელი ხალხი და არც უკრაინის შეიარაღებული ძალები, რომლებმაც ბრძოლის ველზე უზარმაზარი მსხვერპლის ფასად მოიპოვეს აგრესორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან განდევნისა და მისი საბოლოოდ დამარცხების რეალური შანსი.

უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების შემდგომ წარმოქმნილი რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები

ოცდამეერთე საუკუნის ევროპაში არაპროვოცირებული, ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების გამო და უკრაინაში მიმდინარე ომის დროს, რუსი ოკუპანტების მიერ ომის წარმოების საერთაშორისო კონვენციების უხეში დარღვევით ჩადენილი არაერთი სამხედრო დანაშაულის გამოვლინების შედეგად, რუსეთს კოლოსალური საერთაშორისო პოლიტიკური ზიანი მიადგა. საბოლოოდ დაესვა წერტილი პუტინის რუსეთსა და ცივილიზებულ სამყაროს შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო ურთიერთობებს.

რუსეთსა და მსოფლიო პროგრესულ თანამეგობრობას შორის ცივი ომის დასრულების შემდეგ დაწყებული "პოლიტიკური თაფლობისთვე", განუსაზღვრელი ვადით, უმწვავესი დაპირისპირების ფაზაში გადაიზარდა, რომლის გამოსწორება მხოლოდ კრემლის რეჟიმის სრული დემონტაჟისა და დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რაც, არსებული რეპრესიული რეჟიმის პირობებში, საშუალოვადიან პერსპექტივაშიც კი ძნელად წარმოსადგენია.

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა რუსეთის არმიამ, რომელმაც ბრძოლის ველზე მოკლული და დაჭრილი მეომრების სახით, დაკარგა ელიტური სპეცდანაყოფების შემადგენლობის 95%. განადგურდა და მწყობრიდან გამოვიდა მძიმე ჯავშანტექნიკისა და სხვადასხვა სახის შეიარაღების, მათ შორის საარტლერიო, საჰაერო და საზღვაო საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთმა გახარჯა და მინიმუმამდე დაიყვანა ძვირადღირებული ჭურვების მარაგი, რამაც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა რუსეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება და შემდგომი სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობის შემცირება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კერძო სამხედრო კომპანია "ვაგნერის" მეთაურის, ევგენი პრიგოჟინის ღია და უპრეცედენტოდ მწვავე დაპირისპირება რუსეთის თავდაცვის მინისტრთან და გენერალური შტაბის უფროსთან, რომელიც 2022 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და საბოლოო ჯამში, შოიგუს მიერ ყველა კერძო სამხედრო ფორმირების თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ გაცემული ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, პრიგოჟინის მიერ მ.წ. 23-24 ივნისს მოწყობილ უმედეგო სამხედრო ამბოხში გადაიზარდა.

ეს უპრეცედენტო და პარადოქსული ინციდენტი რუსეთ-უკრაინის ომის ერთერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტში განხორციელდა. იმ დროს, როდესაც უკრაინის ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალების მთელი ძალისხმევა თავდაცვაზე და დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნებაზე ზრუნვით იყო დაკავებული, ე.წ. "ვაგნერის" მეთაური ევგენი პრიგოჟინი, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას უცხადებს დაუმორჩილებლობას, ტოვებს ბრძოლის ველს და მის დაქვემდებარებაში მყოფ, რუსეთის ერთერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან სამხედრო ქვედანაყოფთან ერთად, "სამართლიანობის აღდგენის" ლოზუნგით, მარშით მიემართება მოსკოვისკენ.

24 ივნისს, გამთენიისას, "ვაგნერის" სამხედრო კოლონა შედის ქ. როსტოვში, აწესებს კონტროლს აეროპორტზე, შინაგან საქმეთა და ფედერალური უსაფრთხოების ორგანოებზე, ქალაქის ადმინისტრაციის შენობაზე და იკავებს რუსეთის "სამხრეთის სამხედრო ოლქის შტაბს" (განთავსებულია გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობა, სადაც იგეგმება და იმართება უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები). შტაბის ტერიტორიაზე პრიგოჟინი, ფაქტიურად მძევლების რანგში მყოფი თავდაცვის მინისტრის მოადგილის, იუნუს-ბეგ ევკუროვისგან და გენშტაბის უფროსის მოადგილის, გენერალ ალექსეევისგან, ითხოვს შოიგუს და გერასიმოვის მოყვანას, რომლებმაც "ვაგნერის" მებრძოლების როსტოვში შესვლამდე დატოვეს შტაბის ტერიტორია და მოსკოვში გაფრინდნენ (The Wall Street Journal).

იმავე დღეს პრიგოჟინი თავის მებრძოლებთან ერთად ტოვებს ქ. როსტოვს და განაგრძობს სვლას მოსკოვის მიმართულებით. გზად, ვორონეჟის ოლქის ტერიტორიაზე გადაადგილებისას, "ვაგნერის" დაჯგუფების მებრძოლებმა ჩამოაგდეს რუსეთის სტრატეგიული, "დაცული საჰაერო მართვის პუნქტის" სახელით ცნობილი თვითმფრინავი, "Ил-22М" და 6 ვერტმფრენი (დაიღუპა თვითმფრინავის ეკიპაჟის 10 წევრი და 6-ვე ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრები, რომელთა რაოდენობა არ ზუსტდება). ამ ყველაფრის შემდეგ, სრული სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი "ვაგნერის" ქვედანაყოფი ჩერდება მოსკოვის ოლქის მისდგომებთან, დედაქალაქიდან 200 კმ-ში, საიდანაც პროგოჟინი აცხადებს, რომ არ სურს რუსული სისხლის დაღვრა (!), წყვეტს მოსკოვისკენ მსვლელობას და თავის მებრძოლებთან ერთად ბრუნდება "ვაგნერის" საველე ბანაკებში.

მაღევე ირკვევა, რომ პრიგოჟინის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მოლაპარაკებები ბელორუსის პრეზიდენტთან, ალექსანდრე ლუკაშენკოსთან, რომელთანაც შეთანხმდა პირობები, რომლის სანაცვლოდ პრიგოჟინი და მისი სამხედრო ფორმირება შეწყვეტდა მოსკოვისკენ სვლას. შეთანხმების ერთ-ერთი პირობი და მთავარი პირობის თანახმად, დაიხურა პრიგოჟინისა და "ვაგნერის" წევრების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე (შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ფაქტზე მაქსიმალური სასჯელი, რუსეთის

ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 279-ე მუხლის მიხედვით, 20 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს), ასევე პრიგოჟინს დაუბრუნდა პეტერბურგის ოფისებიდან ჩხრეკისას ამოღებული 10 მილიარდი რუბლი, ოქროს ზოდები, სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკური მოწყობილობები და ნება დაერთო, სურვილის შემთხვევაში, გადასულიყო ბელორუსში სამხედრო ქვედანაყოფ "ვაგნერის" წევრებთან ერთად.

ჩაშლილი ამბოხის ისტორიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა კრემლის დანაშაულებრივი რეჟიმისა და პირადად პუტინის სისუსტე. ცხადი გახდა ავტორიტარული მმართველობის მანკიერი მხარეები, რომლებიც არაეფექტური ხელისუფლების პირობებში, და უკრაინაში წამოწყებული აბსურდული ომის გამო, თანდათანობით სულ უფრო მეტ პრობლემას გამოაშკარავენ, რაც, საბოლოო ჯამში, რუსეთის უსაფრთხოებასა და ერთიანობას სერიოზულ საფრთხეებს შეუქმნის.

აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პრიგოჟინის არშემდგარი ამბოხის შედეგად რუსეთის მმართველ ელიტაში და საზოგადოებაში გამოვლენილი დამატებითი პრობლემების მიუხედავად პუტინის რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში (რაც დიდ მოულოდნელობად არ უნდა ჩაითვალოს), რუსეთი კვლავ დარჩება აგრესიისა და საფრთხის მატარებელ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია, დასავლეთის სათანადო ყურადღების მიღმა დარჩენილ ქვეყნებს უდიდესი ზიანი მიაყენოს და საკუთარი სრული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოაქციოს.

უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის წარმოებისთვის გაღებული უზარმაზარი ფინანსური დანახარჯებისა და დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების გამო, სერიოზული პრობლემისა და ძნელად მოსაგვარებელი ნეგატიური პროცესების წინაშე აღმოჩნდა რუსეთის ეკონომიკა, რომელიც საგრძნობლად უარესდება. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და დროთა განმავლობაში სულ უფრო საგრძნობი გახდება რუსეთის მოსახლეობისთვის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის უზარმაზარი შიდა ბაზრის გათვალისწინებით, და სხვადასხვა სახის აგრო და სამრეწველო ნედლეულის, მათ შორის გაზისა და ნავთობის ისეთ მსხვილ მომხმარებლებზე, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და თურქეთი, გაყიდვის ხარჯზე მიღებული შემოსავლების პირობებში, რუსეთის ეკონომიკის კოლაფსის ალბათობა უახლოეს მომავალში და უფრო გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი, დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ დაბალია.

ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა იკვეთება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. უკრაინის დემილიტარიზაციის ნაცვლად, რომელიც ე.წ. "სამხედრო სპეცოპერაციის" ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რუსეთმა, უკრაინის შეიარაღებული ძალების სახით, მიიღო დასავლეთის უახლესი იარაღით აღჭურვილი და ნატოს სტანდარტებით გაწვრთნილი, ბრძოლაში გამობრძმედილი და მოტივირებული ჯარი, რომელიც ომში მიღებული საბრძოლო გამოცდილების შედეგად, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს არმიად ჩამოყალიბდა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დასუსტებისა და მასში განხეთქილების შეტანის ნაცვლად, რუსეთმა საკუთარ საზღვრებთან დამატებით მიიღო ნატოს ორი ახალი წევრი, ფინეთის და ნატოს დე-ფაქტო წევრად აღიარებული შვედეთის სახით, რომელიც ძალიან მოკლე ხანში ალიანსის სრულფასოვანი წევრი გახდება.

დასკვნა

აღნიშნულის ფათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა, უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან დღემდე, ვერ შეასრულა მის მიერ დეკლარირებული ვერცერთი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ამოცანა, როგორც უკრაინასთან, ისე - დასავლეთთან მიმართებაში.

როგორ განვითარდება მოვლენები უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, დამოკიდებული იქნება უკრაინაში ომის დღევანდელი ფაზის დასრულების შემდგომ შექმნილ ვითარებაზე, რომლის სიღრმისეული ანალიზი შესაძლებელი იქნება კონკრეტული სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური სურათის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

¹ ანთაძე, მერაბ, და ყარალაშვილი, გიორგი. 2022. „რუსეთის რევიზიონისტური საგარეო პოლიტიკის ევოლუცია დასავლეთთან ურთიერთობების ფონზე: განმაპირობებელი ფაქტორები და სამომავლო საფრთხეები.“ *ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი*. <https://di.gov.ge/wp-content/uploads/2022/09/rusethis-revizionisturi-sagareo-politikis-evolucia-dasavleththan-urthierthobebis-fonze.pdf>

² Office of the Historian, Foreign Service Institute, United States Department of State. n.d. “Kennan and Containment, 1947”. <https://history.state.gov/milestones/1945-1952/kennan>

³ Office of the Historian, Foreign Service Institute, United States Department of State. n.d. “The Cuban Missile Crisis, October 1962”. <https://history.state.gov/milestones/1961-1968/cuban-missile-crisis>

⁴ National Resource Governance Institute. 2013. “Russia: Reserve Fund and National Wealth Fund”. August 2013. https://resourcegovernance.org/sites/default/files/NRF_Russia_September2013.pdf

⁵ Daniel Fried and Kurt Volker. „Opinion: The Speech in Which Putin Told Us Who He Was”. *POLITICO*. February 18, 2022. <https://www.politico.com/news/magazine/2022/02/18/putin-speech-wake-up-call-post-cold-war-order-liberal-2007-00009918>

⁶ Patrick Wintour. “Russia has amassed up to 190,000 troops on Ukraine borders, US warns”. *The Guardian*. February 18, 2022. <https://www.theguardian.com/world/2022/feb/18/russia-has-amassed-up-to-190000-troops-on-ukraine-borders-us-warns>

⁷ Andrew Roth. “Russia issues list of demands it says must be met to lower tensions in Europe”. *The Guardian*. December 17, 2021. <https://www.theguardian.com/world/2021/dec/17/russia-issues-list-demands-tensions-europe-ukraine-nato>

⁸ The Editors of Encyclopaedia Britannica. “Yalta Conference: World War II”. *Encyclopaedia Britannica*. Last updated on July 12, 2023. <https://www.britannica.com/event/Yalta-Conference>

⁹ Новости "Интерфакса". 2022. „Свыше 15 боевых кораблей задействовали в учениях ВМФ РФ в Средиземном море“. 15 февраля 2022. <https://www.interfax.ru/russia/822277>

¹⁰ UN News. 2023. “UN rights chief deplores Ukraine death toll one year after Russian invasion”. February 21, 2023. <https://news.un.org/en/story/2023/02/1133737>

¹¹ იქვე.

¹² BBC News. 2022. “Ukraine: Putin announces special military operation in TV declaration”. February 24, 2022. <https://www.bbc.com/news/av/world-60505319>

¹³ იქვე.

¹⁴ Reuters. 2022. “Russia says it will sharply cut military activity near Kyiv, Chernihiv”. March 29, 2022. <https://www.reuters.com/world/europe/russia-says-it-will-drastically-cut-military-activity-near-kyiv-chernihiv-2022-03-29/>

¹⁵ Isabel Coles. “Russia Expands Attacks on Civilian Targets in Ukraine After Battlefield Losses”. *The Wall Street Journal*. September 18, 2022. <https://www.wsj.com/articles/russia-expands-attacks-on-civilian-targets-in-ukraine-after-battlefield-losses-11663500963>

¹⁶ Human rights Watch. 2022. “Ukraine: Russian Attacks on Energy Grid Threaten Civilians”. December 6, 2022. <https://www.hrw.org/news/2022/12/06/ukraine-russian-attacks-energy-grid-threaten-civilians>

დამატებითი წყაროები:

- Paul Adams and Hugo Bachega. “Mariupol: The 80 days that left a flourishing city in ruins”. *BBC News*. May 17, 2022. <https://www.bbc.com/news/world-europe-61480988>
- Shane Harris, Karen DeYoung, Isabelle Khurshudyan, Ashley Parker and Liz Sly. „Road to war: U.S. struggled to convince allies, and Zelensky, of risk of invasion“. *The Washington Post*. August 16, 2022. <https://www.washingtonpost.com/national-security/interactive/2022/ukraine-road-to-war/>
- Anastasia Kondrat. “Azov Brigade is nine years old: How Russian propaganda discredited the unit and what consequences it had during the defence of Mariupol”. *Свідомі*. January 5, 2023. <https://svidomi.in.ua/page/azov-brigade-is-nine-years-old-how-russian-propaganda-discredited-the-unit-and-what-consequences-it-had-during-the-defence-of-mariupol>
- Новости Бешенковичей. 2023. “Вместо быстрой «спецоперации» — год кровопролитной войны”. 25 февраля 2023.

<http://beshankovichi.by/rus/%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8/%D0%BE%D0%B1%D1%89%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE/9548/>

- Visit Ukraine Today. 2023. “Ramstein results: what is known and why were there so few high-profile statements?” June 16, 2023. <https://visitukraine.today/blog/2090/ramstein-results-what-is-known-and-why-were-there-so-few-high-profile-statements>